ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/05

დაბა ქედა, **31 მარტი, 2023 წელი**

სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 17:20 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 20.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/05 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

31 მარტი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს მუშაობის შესახებ;**

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;**
მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი: როლანდი ბერიძე

4. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

6. **ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**
მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ.შ: გივი დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი:№95-95230533, 22.02.2023 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელების რეგულირება იქნება, რომელიც გულისხმობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისა და შემდგომში ფინანსურად დამოუკიდებელ სუბიექტებად ჩამოყალიბების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ფინანსურ მხარდაჭერასაც.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით იცვლება ბინათ მ/ამხანაგობის კრების ოქმზე კრების თავმჯდომარის ხელმოწერის ნოტარიულად დამოწმების ვალდებულება კრებაზე დამსწრე წევრების ხელმოწერის არსებობის აუცილებლობით, რაც გაამარტივებს ამხანაგობის მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის მოწესრიგების საკითხს.

ასევე უქმდება ბინათ მ/ამხანაგობის განვითარებისთვის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი პროექტის ღირებულიების 5%-ანი თანადაფინანსების აუცილებლობა.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენი ამხანაგობა იყო რეგისტრირებული ამჟამად მუნიციპალიტეტში.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხით მიმართა მომხსენებელს, როგორ ხდება დაფინანსება იმ საცხოვრებელ სახლებში, სადაც მოსახლეობა 5 ოჯახზე ნაკლებია.

კითხვებთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 6 ბინათ მ/ამხანაგობა. თითქმის დასრულებულია მრავალბინიან სახლებში საცხოვრებელი ბინების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის პროცესი, შესაბამისად სამომავლოდ დაჩქარდება ბინათ მ/ამხანაგობების ჩამოყალიბება მესაკუთრეების მიერ.

ამხანაგობის განვითარებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებით ხორციელდება საერთო სარგებლობის ქონების რეაბილიტაცია, არსებული ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში ამხანაგობას არ დასჭირდება პროექტის ღირებულების 5%-ანი თანადაფინანსება, რადგანაც მცირე მესაკუთრეებით არსებულ ამხანაგობებში პროექტის ღირებულების 5% ხშირ შემთხვევაში საკამოდ დიდ თანხას შეადგენს, რომლის შეგროვების საშულება პრაქტიკულად არ აქვთ მესაკუთრეებს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №2, 31.03.2023 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი: №95-95230832, 24.03.2023 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში მსგავსი იყო 2019 წელს დადებითად შეფასებულ თავმჯდომარის ანგარიშის და საკრებულოს ერთწლიანი სამუშაო პროცესი სუსტად შეაფასა. ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის მიღების პროცესში არ ჩატარდა საჯარო განხილვა, არ ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის წარმომადგენლები, იკითხა არ ხდებოდა საკრებულოს მხრიდან მათი მოწვევა, თუ არ ესწრებიან უბრალოდ. აქვე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ნებისმიერი ფინანსური დოკუმენტის მიღებისას საკრებულოს სხდომაზე მოწვეულ იყვნენ მერიის შესაბამისი სამსახურის უფროსები, რათა სწორად იყოს განსაზღვრული მერიის ფინანსური დოკუმენტი.

შემდეგ კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენი ინიციატივა იყო დარეგისტრირებული ერთი წლის განმავლობაში საკრებულოს წევრების მიერ.

კითხვებთან დაკავშირებით მომხსენებელმა ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ ყველა საკითხზე გარდა ორი ფორსმაჟორული საკითხისა დაწყებული იყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შემდგომ ხდებოდა მათი მიღება, რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშის ძველ 2019 წლის ანგარიშთან იდენტურობას არასწორი იყო, ვინაიდან 2022 წელს სულ სხვა საკითხები იყო განხილული და წარმოდგენილი ანგარიშში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 3 (შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95230901, 31.03.2023 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი: №12-95230834-95, 24.03.2023 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს იგეგმება თუ არა სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობაზე კომპენსაციის გაზრდა, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ბოლო დროს განვითარებული სტიქიური მოვლენების გამო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ბრძანებით გაიზარდა კომპენსაციის თანხა და ასევე იგეგმება მუნიციპალიტეტში 50 ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა ეკომიგრანტებისათვის.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, რა სახის დახმარება იქნება შესაძლებელი სოფელ ბზუბზუში მცხოვრებ სტიქიით დაზარალებულ 11 ოჯახზე.

მომხსენებელმა კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული მოქალაქეები ქირით გაყვანილ იქნა მუნიციპალიტეტის მიერ დროებით საცხოვრებელ ფართებში და სამომავლოდ ისინი ორმოციათას ლარიან კომპენსაციას მიიღებდნენ, ხოლო სოფელ კოკოტაურში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი ორმოციათას ლარს მიიღებდა მუნიციპალიტეტისაგან და ასევე გაეწეოდა ფინანსური დახმარება მთავრობის მხრიდანაც.

საკრებულოს წევრმა შორენა კარანაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სოფელ გულებში არსებული მეწყერსაშიში ზონის შესახებ, რაც ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას და მიმართა თხოვნით მერს დროულად იქნას რეაგირება შესაბამისი სამსახურების მხრიდან.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სოფელი გულები შესწავლილი იქნა გეოლოგების მიერ, თუმცა ეს ტერიტორია ღრმა გეოლოგიურ შესწავლას საჭიროებდა. ასევე აღნიშნა, რომ გულების მოსახლეობასთან შეხვედრისას ჰქონდა საუბარი, საცხოვრებელი სახლების დროებით დატოვებაზე, რისთვისაც მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფდა ამ ეტაპზე საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებას. ასევე საჭირო იყო ქედის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე შემოტანილ იქნას განცხადება დროებით საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ.

დავით სირაბიძემ მიმართა მომხსენებელს ქედის მუნიციპალიტეტის მერს როლანდ ბერიძეს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მერი მარტო ჯებირების, მოედნების და ტრენაჟორების დასამონტაჟებლად არ აურჩევიათ, მუნიციპალიტეტში მთელი რიგი პრობლემები არის მოსაგვარებელი კერძოდ:

ა) დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები;

ბ) სოფელ კვაშტაში სასმელი წყლის არხის რეაბილიტაცია;

გ) მონაწილეობითი ბიუჯეტით გამოცხადებული 8 შეუსრულებელი ტენდერი;

დ) მუნიციპალიტეტში მეწყერის შემდგომი გზის გაწმენდითი სამუშაოები.

შემდგომ მერის მისამართით გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ მისი მერობის პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობამ მიახლოებით 100-ს მიაღწია, თუმცა დავით სირაბიძე დასაქმების ეფექტურობას/მიზნობრიობას ვერ ხედავდა, რაც აუდიტის დასკვნაშიც არის დაფიქსირებული.

აქვე დავით სირაბიძემ ახლად არჩეულ ,,ქართული ოცნება''-ს პარტიის თავმჯდომარეს სამომავლოდ რჩევა მისცა პარტიული შეხვედრებისათვის არ გამოეყენებინა საჯარო მოხელეები.

მომხსენებელმა კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები რომელიც 2022 წელს არ დასრულებულა, წელს მოხდება მათი განხორციელება, რაც შეეხება სოფელ კვაშტაში სასმელი წლის პრობლემის გადაჭრას უახლოეს მომავალში სოფელ მერისიდან მოხდება წყლის გადაყვანა.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამით განუხორციელებელ პროექტებზე განმარტა, რომ სამუშაოების ღირებულებამ გადააჭარბა პროგრამით გათვალისწინებულ თანხებს, ამიტომ მუნიციპალიტეტი ცალკე ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში დააფინანსებს ამ პროექტებს და ყველა გამარჯვებული იდეა იქნება შესრულებული.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსული უხვი ნალექის გამო მუნიციპალიტეტში მეწყრული პროცესები განვითარდა, რომლის აღმოფხვრაზეც გამოყენებული იქნა არა მხოლოდ მუნიციპალური ტექნიკა, არამედ აჭარის საგზაო დეპარტამენტის ყველა რესურსი. არსებობს ისეთი კერები სადაც გაწმენდითი სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ასევე არის ისეთი მდგომარეობაც, სადაც ტექნიკა ვერ იმუშავებს, მანამ სანამ არ დასტაბილურდება მეწყრის კერა, შესაბამისად მობილიზაცია სტიქიური უბედურებების აღმოფხვრის მიზნით იყო მაშტაბური და ამ მხვრივ კრიტიკას ნამდვილად ვერ მიიღებდა.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა ქედის მუნიციპალიტეტის მერს როლანდ ბერიძეს გაწეული სამუშაოსათვის და წარმატებები უსურვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 4 (შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე, დავით სირაბიძე და გოჩა ჟღენტი).

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95230902, 31.03.2023 წელი).

4. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95230833-95, 24.03.2023 წელი) და განმარტა, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე), განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 21 აპრილი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად კი 2023 წლის 28 აპრილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95230903, 31.03.2023 წელი).

5. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95230833-95, 24.03.2023 წელი) და განმარტა, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე), განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 21 აპრილი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად კი 2023 წლის 28 აპრილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95230904, 31.03.2023 წელი).

6. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა გივი დევაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95230891-95, 30.03.2023 წელი) და განმარტა,ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია 2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 24 თებერვლის №17 განკარგულებით, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის გამოყოფილი 750 000 ლარი. მიმდინარე წლის მარტის თვეში, სოფლებში ჩატარებული მოსახლეობის კრებების მიერ განისაზღვრა აღნიშნული თანხებით განსახორციელებელი პროექტები ცალკეულ სოფლებში, რის მიხედვითაც შედგენილი იქნა შესაბამისი პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისათვის საჭიროა პროგრამის დამტკიცება საკრებულოს მიერ.

აზრი გამოთქვეს:

აქვე საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რამ გამოიწვია თანხის ზრდა სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა მინდია არძენაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სოფელ ხარაულაში სარიტუალო ინვენტარის შესანახი საწყობის მოწყობა თუ იქნებოდა წელს გათვალისწინებული.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით თანხის დამატება გამოიწვია მოსახლეობის თხოვნით შენობის პირველი სართულის კეთილმოწყობის საკითხის დაყენებამ, ხოლო რაც შეეხება სოფელ ხარაულაში სასაწყობე შენობის რესტავრაციის პროექტი გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტში და ასევე დაგეგმილია გვერდით მუზეუმის მოწყობაც.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 3 (შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №g-95.95230905, 31.03.2023 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 17:20 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე